საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№602 2016 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

„მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №52 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. პროექტი ითვალისწინებს ერთიან ფართობში მდებარე პროექტის ბენეფიციარის მომიჯნავე 0.25 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთების მოხვნას ხვნის ბარათის გარეშე (უბარათო ხვნა) ისე, რომ ასეთი მიწის ნაკვეთების მფლობელ ბენეფიციარებს შეუნარჩუნდეთ სხვა სახის სარგებელი. ასეთი სახის ნაკვეთების ხვნის სამუშაოებს ჩაატარებს შპს „მექანიზატორი“. სააგენტო ბენეფიციარის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას

აუნაზღაურებს შპს „მექანიზატორს“, შპს „მექანიზატორის“ მიერ ბენეფიციარებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი